კონფიდენციალურობის პოლიტიკა

სილქ რივორდსის კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ვინ ვართ ჩვენ?

წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკა არეგულირებს სილქ რივორდსის აპლიკაციის ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავებას.

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი: შპს სილქ ჰოსფითალითი (ს/ნ, 404613094, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, რესპუბლიკის მოედანი), მოხსენიებული როგორც კომპანია.

ჩვენი მომხმარებელი ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი მომსახურებით და რეგისტრირდება სილქ რივორდსის აპლიკაციაში.

ჩვენთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის და ფიზიკურ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მონაცემების დამუშავების პროცესში მონაცემთა დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ჩვენ ვამუშავებთ პერსონალურ მონაცემებს სათანადო პასუხისმგებლობითა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრინციპების შესაბამისად. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ჩვენი მომხმარებლის პერსონალურ მონაცემთა თანმიმდევრული და მაღალი ხარისხით დაცვა და უსაფრთხოება.

ეს განცხადება შექმნილია ჩვენი საქმიანობისა და პრინციპების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, თქვენთან ანგარიშვალდებულების მიზნებისთვის. ამ განცხადებაში მოცემულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, შეგიძლიათ მოგვმართოთ dpo@silkhospitality.com

ამ განცხადებაში მოცემულია ინფორმაცია, თუ როგორ ვამუშავებთ თქვენს მონაცემებს იმ შემთხვევებში:

- როდესაც სარგებლობთ ჩვენი მომსახურებით და ერთვებით სილქ რივორდსის ლოიალობის პროგრამაში.

ეს განცხადება ვრცელდება კომპანიის მიერ მონაცემთა ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე და წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით კომპანიის ღირებულებების, ხედვისა და მიდგომების გამოხატულებას. ამასთან, წინამდებარე დოკუმენტით შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია თქვენი უფლებების და მათი დაცვის საშუალებების შესახებ.

რა მონაცემებს ვამუშავებთ

ჩვენ ვამუშავებთ შემდეგი კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს:

სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა, დაბადების თარიღი, სქესი, ქვეყანა/მოქალაქეობა, წევრობის სტატუსი, ქულების ისტორია, ტრანზაქციების მონაცემები, ქცევითი და ტექნიკური მონაცემები.

ჩვენ ვაგროვებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს:

თქვენ შესახებ პერსონალურ ინფორმაციას ვიღებთ უშუალოდ თქვენგან - სილქ რივორდსის აპლიკაციაში რეგისტრაციისას. ასევე, აპლიკაციაში თქვენი ქმედებებიდან - ტრანზაქციებიდან, ჯავშნებიდან, ვიზიტებიდან და ქულების დაგროვება & დახარჯვიდან გამომდინარე.

როგორ ვიყენებთ მონაცემებს

თქვენს მონაცემებს ვამუშავებთ მხოლოდ კანონიერი მიზნის მისაღწევად, როგორიცაა თქვენთვის მომსახურების გაწევა, ასევე, ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.

მონაცემთა დამუშავება ხორციელდება ლოიალობის პროგრამის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ქულების დაგროვებისა და გამოყენებისთვის, ასევე მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახალი პროდუქტების ან შეთავაზებების შექმნისთვის.

მონაცემთა ნაწილს ჩვენ ვამუშავებთ თქვენი თანხმობის საფუძველზე, მაგ. მარკეტინგული კომუნიკაციისათვის.

მონაცემთა გაზიარება

ჩვენი სერვისების ჯეროვნად მოსაწოდებლად ჩვენ ვსარგებლობთ სხვადასხვა კომპანიების მომსახურებით, მაგ. ტექნიკური სერვისის მომწოდებელი კომპანიები, რომლებიც შესაბამისი სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველზე იღებენ პასუხისმგებლობას მონაცემთა უსაფრთხოების შესაბამისი სტანდარტის დასაცავად, ამუშავებენ მონაცემებს მხოლოდ ჩვენი მითითების შესაბამისად და მხოლოდ იმ მიზნითა და იმ ფარგლებში, რაც საჭიროა შესაბამისი მომსახურების გასაწევად.

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი სილქ რივორდსის აპლიკაციაში საკუთარი ნებით აკავშირებს მესამე პირს ან შეიყვანს შესაბამის მონაცემებს, კომპანია უფლებამოსილია მიიღოს და დაამუშაოს აღნიშნული მესამე პირისგან მიღებული ინფორმაცია მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რომელთა განხორციელებისთვისაც ხდება აღნიშნული დაკავშირება. მომხმარებლის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება ითვლება მის მკაფიო თანხმობად პერსონალური მონაცემების გადაცემასა და დამუშავებაზე.

მონაცემები შეიძლება ასევე გავუზიაროთ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

მარკეტინგული მიზნებისთვის სხვა კომპანიებისთვის მონაცემების გაზიარება შეიძლება მოხდეს მხოლოდ თქვენი მკაფიოდ გამოხატული თანხმობის შემთხვევაში.

გთხოვთ, გაეცნოთ შესაბამის პოლიტიკებს მესამე მხარეების ვებ-საიტებზე.

როგორ ვიცავთ თქვენს მონაცემებს

ჩვენ ვიცავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, მათ კონფიდენციალურობასა და უსაფრთხოებას ვეპყრობით შესაბამისი გულმოდგინებით და ვიღებთ ყველა გონივრულ ფიზიკურ, ტექნიკურ თუ ორგანიზაციულ ზომას მონაცემთა შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისგან, შეცვლისაგან, გამჟღავნებისგან, მოპოვებისგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან დასაცავად.

ჩვენ ვიცავთ მონაცემთა კონფიდენციალურობას. თქვენს მონაცემებზე წვდომა შეზღუდულია იმ თანამშრომლებისა და მომსახურების მიმწოდებლებისთვის, ვისთვისაც ეს ინფორმაცია აუცილებელია დაკისრებული სამუშაოს შესასრულებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მუდმივად ვცდილობთ დავიცვათ ჩვენი სისტემები, ვებსაიტები, ოპერაციები და ინფორმაცია, ინტერნეტის, როგორც ღია გლობალური საკომუნიკაციო საშუალების ბუნებიდან და სხვა რისკ-ფაქტორებიდან გამომდინარე, ვერ ვიძლევით გარანტიას, რომ ნებისმიერი ინფორმაცია, გადაცემის პროცესში ან ჩვენს სისტემებში შენახვისას, სრულად დაცული იქნება მესამე პირების მხრიდან შეღწევისგან.

რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს მონაცემებს

ჩვენ ვამუშავებთ და ვინახავთ თქვენს მონაცემებს იმ მოცულობითა და ვადით, რაც საჭიროა ამ განაცხადით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მათ შორის, სამართლებრივი, მარეგულირებელი, საგადასახადო ან ანგარიშგებასთან დაკავშირებულ მოთხოვნათა დაკმაყოფილების მიზნებისათვის.

მონაცემები ინახება წევრობის ვადით და მისი შეწყვეტიდან არაუმეტეს 2 წლის განმავლობაში, რის შემდეგ ხდება მათი ანონიმიზაცია ან წაშლა.

თქვენი უფლებები

თქვენ, როგორც მონაცემთა სუბიექტს, შეგიძლიათ ნებისმიერ დროს და ჩვენი მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის დაკისრების გარეშე, განახორციელოთ თქვენი შემდეგი უფლებები:

ინფორმაციის მიღების უფლება - მიიღოთ ინფორმაცია თუ რა მონაცემები მუშავდება თქვენს შესახებ, რა არის მათი დამუშავების მიზანი და საფუძველი, ასევე, ინფორმაცია მონაცემთა შეგროვების წყაროსა და მათი გადაცემის შესახებ. გაეცნოთ თქვენ შესახებ ჩვენთან არსებულ ჩანაწერებს და მიიღოთ მათი ასლები;

მონაცემთა გასწორების, განახლების, დამატების, დაბლოკვის, წაშლისა და განადგურების მოთხოვნის უფლება - აღნიშნული უფლება საშუალებას გაძლევთ ნებისმიერ დროს მოითხოვოთ თქვენს შესახებ დამუშავებული მცდარი/არაზუსტი მონაცემების დაუყოვნებლივ გასწორება, განახლება ან მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით არასრული მონაცემების შევსება, მათ შორის, დამატებითი ცნობის/დოკუმენტის წარდგენის გზით. ამასთან, უფლება გაქვთ მოითხოვოთ თქვენი მონაცემების დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების მკაფიო სამართლებრივი საფუძველი და ა.შ.

პროფაილინგზე უარის თქმა - გაქვთ უფლება მოითხოვოთ პროფაილინგის მიზნებისთვის შეგროვებული და მის შედეგად მიღებული მონაცემების წაშლა ან განადგურება და ნებისმიერ დროს უარი თქვათ პროფაილინგის მიზნებისთვის თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე

თანხმობის გამოთხოვის უფლება - აღნიშნული უფლება საშუალებას გაძლევთ ნებისმიერ დროს, ყოველგვარი განმარტების გარეშე, უარი თქვათ თქვენს მიერ მონაცემთა დამუშავების თაობაზე გაცემულ თანხმობაზე.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მონაცემთა დამუშავების სხვა საფუძვლები, ასეთი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში ჩვენ უზრუნველვყოფთ შესაბამისი ქმედების განხორციელებას.

გასაჩივრების უფლება - თქვენი უფლებების დასაცავად მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს ან სასამართლოს.

თქვენი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს თუ ამ უფლების რეალიზებამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას დანაშაულის გამოვლენას, გამოძიებასა და აღკვეთას, ქვეყნის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ ინტერესებს და/ან მონაცემთა სუბიექტისა და სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს. თქვენი უფლებების შეზღუდვისას შესაბამისი ზომის გამოყენება ხდება მხოლოდ შეზღუდვის მიზნის ადეკვატურად და პროპორციული მოცულობით.

ასევე, შეგიძლიათ ისარგებლოთ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებით.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ თქვენ მოითხოვთ თქვენი იმ პერსონალური მონაცემების წაშლას ან განადგურებას, რომელიც აუცილებელია თქვენთვის მომსახურების გასაწევად, ჩვენ ვეღარ შევძლებთ თქვენთვის მომსახურების გაწევას.

თქვენი უფლებების რეალიზებისთვის შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ dpo@silkhospitality.com

თქვენი ვალდებულებები

ჩვენ ველით, რომ ჩვენთვის მხოლოდ თქვენი საკუთარი პერსონალური მონაცემები მოგვაწვდით. თუ ასევე გვაწვდით სხვა პირების პერსონალურ მონაცემებს, იგულისხმება, რომ თქვენ ასეთი მონაცემები მოპოვებული გაქვთ შესაბამისი უფლებამოსილებისა და კანონმდებლობის დაცვით და თქვენ მას გვაწოდებთ შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

თქვენ პასუხისმგებელი ხართ ჩვენთვის ან მესამე პირებისთვის მიყენებულ ნებისმიერი სახის ზიანზე, რომელიც შესაძლოა წარმოგვეშვას ჩვენთვის არაზუსტი, მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მოწოდების გამო.

ასევე ველით, რომ ჩვენთვის მიწოდებული პერსონალური მონაცემები არის ზუსტი და სრული და რომ, თუ თქვენი პერსონალური მონაცემები საჭიროებს განახლებას, დაუყოვნებლივ შეგვატყობინებთ ამის შესახებ.

კონტაქტი

ნებისმიერი კითხვის, საჩივრის, მოთხოვნის ან პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ჩვენ ელ-ფოსტის საშუალებით: info@silkhospitality.com ან ჩვენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს (შპს „პრაივასი ლოჯიქ გრუპ“, ს/ნ: 405222619) ელ. ფოსტის საშუალებით: dpo@silkhospitality.com

ან მიმართეთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს - სახელმწიფო აუდიტის სამსახურს.